საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного совета народных депутатов

№35 (6261) ხუთშაბათი. 1990 წლის 22 მარტი ფასი 3 კაპ.

გეგმა - ვადამდე

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დამთავრებამდე დრო დი დრო აღარ დარჩა. ხორცისა და რძის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულების ბედი წლის დასაწყისში ... დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ საფუძველს მოვამზადებდეთ საამისოდ. სად როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ.

ცაგერის კოლმეურნეობა

აქაურმა მეცხოველეებმა კარგი საფუძველი მოამზადეს წლის პირველი კვარტალის წარმატებით შესრულებისათვის, ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ წლის პირველი ორი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. პირველ კვარტალში სულ 210 ცენტნერი რძე აქვთ დამზადებული და კვარტალის გეგმა 70 პროცენტითაა განაღდებული.

ტვიშის კოლმეურნეობა

ტვიშელ მეცხოველეთა სიბეჯითემ ხელი შეუწყო რძის დამზადების საგეგმო დავალების შესრულებაში წარმატებას. პირველ კვარტალში სულ 50 ცენტნერი რძე უნდა დაამზადონ. მათ ორ თვეში, პირველი მარტისათვის 42 ცენტნერი რძე აქვთ დამზადებული და პირველი კვარტალის გეგმა 84 პროცენტითაა განაღდებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1990 წლის 16 მარტის დადგენილება

სკკპ XXVIII ყრილობის მოწვევის ვადების, პარტიაში ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მოწყობის, ყრილობის დელეგატთა წარმომადგენლობის ნორმისა და არჩევის წესის შესახებ

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაცვლელად მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXVIII ყრილობა 1990 წლის 2 ივნისს ქ. მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში.

2. შეტანილ იქნეს ყრილობის განსახილველად შემდეგი საკითხები:

1) გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მომხსენებელი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

2) სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში. მომხსენებელი — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ა. ნიზოვცევა.

3) სკკპ პლატფორმა „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისათვის“.

4) სკკპ წესდება.

5) დებულება სკკპ ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შესახებ.

6) პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ სკკპ პლატფორმასთან და წესდებასთან დაკავშირებული საკითხები გაშუქდეს პირველი საკითხის შესახებ მოხსენებაში.

3. დაწესდეს სკკპ XXVIII ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა — თითო დელეგატი 4 ათასი პარტიის წევრისაგან.

4. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მოეწყოს სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნები ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, მეტოქეობისა და ალტერნატიულობის ვითარებაში, ყველა კომუნისტის უშუალო მონაწილეობით.

მიღებულ იქნეს სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევის წესის შესახებ წინადადებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საკადრო პოლიტიკის საკითხთა კომისიამ შეიმუშავა პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტებისა და უპარტიოების წინადადებათა საფუძველზე (თან ერთვის).

მიღებული წესის შესაბამისად, არჩეულ დელეგატთა სიებს აფორმებენ და სკკპ XXVIII ყრილობას წარუდგენენ საოლქო და სამხარეო პარტიული კონფერენციები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები. უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომპარტიებში — საოლქო პარტიული კონფერენციები. ქ. მოსკოვში — სკკპ რაიონული კონფერენციები.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ შეიარაღებული ძალების შესაბამისი გაერთიანებების, ჯარების გვარეობებისა და სახეობების პარტიულ კონფერენციებზე.

საზღვარგარეთ არსებული საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ თავიანთ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ქ. მოსკოვში გაიმართება.

5. პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მოწყობის წესსა და ვადებს ადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები სკკპ სამხარეო, საოლქო კომიტეტები რუსეთის ფედერაციაში. საქალაქო (რაიონული პარტიული სტრუქტურის მქონე ქალაქებში), საოკრუგო, საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენციების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობების დელეგატთა არჩევნების წესს განსაზღვრავენ შესაბამისი პარტიული კომიტეტების პლენუმები, რჩევა მიეცეთ, კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატთა არჩევნებისა და პარტიული ორგანოების ფორმირების დროს გამოიყენონ მიდგომები, რომლებიც დაწესებულია სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნებისათვის ამ დადგენილებით, და სკკპ ახალი წესდების პროექტის დებულებანი.

6. კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატთა არჩევნების, აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების დემოკრატიზაციის მიზნით დადგინდეს:

არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებიც დააგროვებენ ყველაზე მეტ ხმას სხვა კანდიდატებთან შედარებით, მაგრამ კრების მონაწილე სკკპ წევრთა, კონფერენციის, ყრილობის დელეგატთა, პარტიული კომიტეტის ან სხვა არჩევითი ორგანოს წევრთა ხმების ნახევარზე მეტს;

პარტიულ კრებას, კონფერენციას, ყრილობას, რომლებიც შესაბამისი პარტორგანიზაციის ან კომპარტიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენენ, უფლება აქვთ გადაწყვიტონ პარტიული კომიტეტის პირველი მდივნის (მდივნის) ან სხვა არჩევითი პირის არჩევის საკითხი კრების, კონფერენციის ან ყრილობის მთელი შემადგენლობის მიერ, ამასთან დგინდება მომავალში კონკრეტული არჩევითი პირის შეცვლის წესი.

იხელმძღვანელონ ამ დებულებებით სკკპ ახალი წესდების მიღებამდე.

7. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე ღრმად და ყოველმხრივ განიხილონ პარტიულ ორგანიზაციებში არსებული ვითარება, პარტიული მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესების ღონისძიებანი, იმსჯელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პლატფორმის, სკკპ წესდების პროექტების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ანგარიშგება-არჩევნებმა, პარტიის ყრილობის მთელმა სამზადისმა საშუალება მოგვცეს გამოვავლინოთ კომუნისტთა განსხვავებული შეხედულებანი, მოეწყოს ისინი ყოველგვარი აზრის, უმცირესობის მიერ თავისი პოზიციის გამოხატვის უფლებისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულების სულისკვეთებით. უნდა უზრუნველვყოთ კრებების, კონფერენციებისა და ყრილობის კონსტრუქციული ხასიათი, იმ წინადადებათა კოლექტიური შემუშავება, რომლებიც ეძღვნება საზოგადოებაში პარტიის როლისა და საქმიანობის, მისი საშინაო ცხოვრების დემოკრატიზაციის კარდინალურ საკითხებს, პარტიული მასის ხელისუფლების დამკვიდრებას.

სკკპ XXVIII ყრილობის სამზადისმა ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტთა იდეურ და ორგანიზაციულ კონსოლიდაციას, თითოეული პარტიული ორგანიზაციის ქმედუნარიანობის გაძლიერებას, საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავანგარდული როლის განმტკიცებას, მის გააქტიურებას გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების გადაწყვეტაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ ჩავაბათ პარტიულ მუშაობაში ახალი, მხნე ძალები გარდაქმნის საქმის ერთგულ კომუნისტთა რიცხვიდან, რომლებსაც მხარს უჭერენ პარტიული ორგანიზაციები, ფლობენ პარტიულ-პოლიტიკურ მეთოდებს, დავაწინაუროთ პარტიაში ხელმძღვანელ როლებზე ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ მიანიჭონ ქმედითი ხასიათი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განახლებას პარტიის XXVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

8. XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დებულებათა შესაბამისად, მომავალ პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე შეიძლება არჩეულ იქნენ ერთიანი საკონტროლო-სარევიზიო კომისიები, თანიანთ პრაქტიკულ მუშაობაში სკკპ XXVIII ყრილობამდე საკონტროლო-სარევიზიო კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული დროებითი დებულებით („იზვესტია ცკ კპსს“, №1, 1989 წ.).

9. დაევალოს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განახორციელოს სკკპ XXVIII ყრილობის სამზადისთან დაკავშირებული მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა და წევრობის კანდიდატთა, ადგილობრივი პარტიული აქტივის ფართო მონაწილეობით, ღიად და საჯაროდ. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას ყრილობაზე არჩეულ დელეგატთა რიცხვიდან კომისიები (ჯგუფები), რომლებიც შეიმუშავებენ ძირითად დოკუმენტებსა და რეზოლუციებს სკკპ ყრილობისათვის.

წლის პირველი კვარტალი დასასრულს უახლოვდება

სულ რამდენიმე დღეც და წლის პირველი კვარტალიც დასრულდება. ახლა, როგორც არასდროს, ისეა საჭირო შრომითი შემართება, საქმისათვის თავდადება, ერთსულოვნება, რომ ის სანუკვარი ოცნება, რასაც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა ჰქვია, რაც შეიძლება მოვიახლოვოთ.

ახლა საგაზაფხულო სამუშაოების გეგმაზომიერად წარმართვასთან ერთად მთავარი საზრუნავი მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტლის საგეგმო დავალების შესრულებაა.

ჩვენს ხელთ არსებული სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული განყოფილების პირველი მარტის ცნობით, ამ მხრივ საქმე არც თუ ისე სახარბიელოა, სახელმწიფოს სულ პირველი კვარტალში 500 ცენტნერი ხორცი უნდა მივყიდოთ და მიყიდული კი 273 ცენტნერია, ხოლო რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა 52,5 პროცენტითაა შესრულებული, ნაცვლად 1000 ცენტნერისა, სახელმწიფოსათვის 525 ცენტნერი რძეა მიყიდული.

საჭიროა თვის ბოლომდე დარჩენილ დროში ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენება, მთელი ძალების ამოქმედება, რომ ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის საგეგმო დავალება შეუსრულებელი არ დაგვრჩეს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ

15 მარტს წმინდა ილია მართალის საზოგადოების ლეჩხუმის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მიტინგები ჩაატარეს სოფლებში ტეიშში, ალპანასა და ორბელში. უფრო სწორად, ეს იყო მიტინგი-შეხვედრა სოფლის მშრომელებთან. სამივე სოფელში გაიმართა გულახდილი ბჭობა ამჟამად არსებული პოლიტიკური ვითარების გარშემო. მიტინგის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 9 მარტის საგანგებო სესიამ, რომელიც წინ უძღოდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მე-3, რიგგარეშე ყრილობას, გარკვეულად შეცვალა სიტუაცია. 9 მარტს მიღებული დოკუმენტით უზენაესმა საბჭომ ფაქტიურად აღიარა საქართველოში არსებული ხელისუფლების უკანონობა, მისი მარიონეტობა. აქედან გამომდინარე, ასკვნიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთის წარმომადგენლები, მართლდება ლოზუნგი—ბოიკოტი საბჭოთა არჩევნებს, ვინაიდან უაზრობაა ხალხი ირჩევდეს ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელიც თავად აცხადებს თავს უკანონოდ. ყველაზე უკეთესი, რაც შეიძლება გააკეთოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, აღნიშნეს მიტინგის ორგანიზატორებმა, არის მის მიერ თვითლიკვიდაციის გამოცხადება. მათვე მოუწოდეს ხალხს არ მიიღონ მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში, რათა შესაძლებელი გახდეს ეროვნული ყრილობის მოწვევა საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი კენჭისყრის შედეგად.

დღის წესრიგში იყო ავრეთვე საოკუპაციო არმიის ბოიკოტისა და საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნის საკითხები. აღინიშნა, რომ დიდია საბჭოთა არმიაში დაღუპულ ქართველ ჯარისკაცთა რიცხვი. ჩვენი ჭაბუკების სიცოცხლისადმი აშკარა საფრთხე და, პირველ რიგში, მორალური პასუხისმგებლობა გვავალდებულებს სრული ბოიკოტი გამოეცხადოს საოკუპაციო არმიაში სამსახურს.

გაიმართა მსჯელობა სხვა საჭირბოროტო პრობლემებზე. მიტინგის ორგანიზატორებმა უპასუხეს [illegible] სსრ კავშირში პრეზიდენტის პოსტის შემოღების მნიშვნელობაზე, ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაზე, ლეჩხუმში გლეხური მეურნეობის მოწყობის, ეკოლოგიის და სხვა საკითხებზე.

* * *

ასეთივე მიტინგი გაიმართა 20 მარტს ქალაქ ცაგერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ასე იყო, მაგრამ დღეს განსაკუთრებით ადამიანებზე მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ რას ლაპარაკობს, არამედ მისი საქმეების მიხედვით.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ სასიამოვნოა, როცა შენზე იტყვიან: სიტყვის კაცია, სიტყვის პატრონია, თუ დაგპირდება გააკეთებს, თუ არ შეუძლია პირდაპირ გეტყვისო.

ᲩᲕᲔᲜᲘ ერის ბედნიერი მომავლისათვის დღეს ყველაზე მეტად არის ჭუცილებელი ბოლომდე ერთგულება ყოველი სიტყვისა, ყოველი დაპირებისა.

ᲐᲚᲞᲐᲜᲘᲡ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ასეთ კაცად იცნობენ საჭირმელ ვარდენ ალავიძეს. ეიმიდებათ მეურნე, პატიოსანი შრომისათვის დაბადებულგაზრდილი, გამრჯე, დიდი ენერგიის პატრონი, დაპირებაში ძუნწი, შრომაში ხელბარაქიანი. მას არც დიპლომი აქვს და არც უმაღლესი განათლება, მაგრამ იგი მექანიზატორია, მიწა უყვარს, მიწის ესმის, ეს ყველაფერი კოლმეურნეობაში გვითხრეს მის შესახებ. ასეთი ადამიანები სჭირდება დღეს სოფელს.

ᲕᲐᲠᲓᲔᲜ ალავიძე პრაქტიკული ᲒᲣᲜᲘᲡ კაცია. იჯარული შრომის პირობები გაცილებით უკეთესიაო მშრომელი კაცისთვის, ამბობს იგი. ამიტომაც არის, რომ იჯარით აღებულ ნაკვეთებს ისე უვლის, როგორც საკუთარ საკარმიდამოს, და რაც მთავარია, ასეთ პირობებში თავს დამოუკიდებლად გრძნობს, კონტროლი და ათასნაირი მითითებები არ სჭირდება. იცის, როდის უნდა ვაზს და ყანას მკურნალობა. მას მხარში უდგას მეუღლე ეთერი, პატიოსანი შრომით ამრავლებენ საზოგადოებრივ და საკარმიდამო მიწის ბარაქას.

თუ გაინტერესებთ, ჰკითხეთ—როგორ მოსწონს დღევანდელობა.

ᲓᲦᲔᲡ ლაპარაკი ყველამ ისწავლა. საქართველოს სიყვარულს რომ ეფიცებიან, მე თუ წელებზე ფეხი არ დავიდგი, მიწა არ მოვხანი, ხნულში მარცვალი არ ჩავყარე, მოსავალი არ ავიღე ისე ვერ შეძლებენ ლაპარაკს, რიხიანი ლაპარაკი კარგად ამოვსებულმა მუცელმა იცისო,—გიპასუხებთ.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამამთავრებელ წელს მშრომელ კაცს უფრო მაღალი მიჯნები აქვს დასაძლევი.

Ბ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ

★

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲚᲘᲐᲜᲡ ცაგერის №23 საგზაო უბანში ყველა იცნობს როგორც შრომისმოყვარე, გამოცდილ, თავის პროფესიაზე შეყვარებულ კაცს. ამიტომაა, ხან „სკრეპერზე“ მუშაობს, ხანაც ავტოამწეზე. სადაც საქმე ითხოვს, ყოველთვის იქაა. კმაყოფილია, რომ საარგებლო საქმეს ემსახურება—გზა ხომ ჩვენი სიცოცხლის არტერიაა, რომლის გარეშე ძნელია ილაპარაკო რაიმე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ წინსვლაზე.

ჩვენმა კორესპონდენტმა ზ. გზობავამ ჯემალ დავითულიანი ერთი წუთით მოაცდინა საქმეს, იმ დროს გადაიღო, როცა მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრის სამუშაოებს ასრულებდა ღვედის ტერიტორიაზე.

ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲕᲔᲚᲘᲗ

ᲐᲮᲚᲐ დღეებს ითვლის, მალე მოიხდის ვალს და დაუბრუნდება მამულს მონატრებულს, გამოღვიძებულს. სულ სხვა რწმენით მოდის უკან—რას გაუკეთებს კუთხესა და ერს, რას შესძენს თავისი გონებითა და მარჯვენით, კაცურკაცობით.

არმიაში რომ მიდიოდა ლაჯანელი ზვიად თენგიზის ძე მეგრელი, ფიქრობდა: ნუთუ არ შეიძლება გვქონდეს ეროვნული არმია, საქართველოში მოვიხადოთ მხედრული ვალი, დავიცვათ ჩვენი მამული. მაშინ ამ ფიქრის ხმამაღლა გამხელა დანაშაულად მიაჩნდა და წავიდა. რაკი წავიდა, ვაქკაცური ამტანობით, ნებისყოფით შეუდგა სამსახურს. მისი სერიოზულობა, სიბეჯითე, სიმამაცე არ დარჩენილა შეუმჩნეველი. აქებენ ჯარისკაცს მეგობრები, ნაწილის ხელმძღვანელები, მათ სამადლობელი ბარათი გამოუგზავნეს ამ დღეებში ზვიადის დედ-მამას და აცნობენ შვილის მიღწევებს, გაზრდილობას, ვაჟკაცობას, უსურვებენ მშობლებს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას.

ზვიადი არმიაში წასვლამდე ცაგერის №91 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ავტომობილის შემკეთებელ-ზეინკლის პროფესიას დაეუფლა, იქ, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, როგორც უკვე ვთქვით, კარგი წრთობა მიიღო.

ასე რომ, ველით ერთ საარგებლო ახალგაზრდა კაცს იმედით, სიხარულით, რწმენით.

Მ. ᲒᲣᲠᲣᲚᲘ.

ᲨᲕᲔᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲜ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

„ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲔᲗ იმედი კომპეტენტურობაზე და ნუ იჩქარებთ გამოეთხოვოთ გამოცდილ მუშაკებს, რომელთაც საპენსიო ასაკს მიაღწიეს“ — ასეთ რეკომენდაციას აძლევს თავის კლიენტებს — ქვეყნის სახელმწიფო და კერძო კომპანიებს შვეიცის ექსპერტთა საბჭო. ამის საფუძვლად მოჰყავს მის მიერ ახლახან ჩატარებული სპეციალური გამოკვლევის მონაცემები.

მისი შედეგები ძალზე მოულოდნელი გამოდგა კადრის სამსახურის სპეციალისტებისათვის. საქმიანი ტესტების არც ერთ სერიაში, რომლებიც ჩატარდა შვეიცის საწარმოთა ხელმძღვანელების ჯგუფთან, პენსიონერები და საპენსიო ასაკს მიღწეული მუშაკები არ ჩამოუვარდებოდნენ ახალგაზრდა მენეჯერებს, ხოლო ორ საკვანძო ტესტში გაუსწრეს კიდეც. აღმოჩნდა, რომ სოლიდური ნამსახურობის მქონე მუშაკები ახალგაზრდა კოლეგებზე უფრო სწრაფად იღებენ სწორ გადაწყვეტილებას.

ეს კი იმას მეტყველებს, აღნიშნავს ექსპერტთა საბჭოს სასწავლო განყოფილების ხელმძღვანელი ჰანს კარლსონი, რომ ასაკი და გამოცდილება უფრო მეტ როლს ასრულებს ეფექტიან შრომაში, ვიდრე ბევრნი ვარაუდობენ. სასურველ ვითარებაში—იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო იძლევა საამისო სტიმულსა და შესაძლებლობას, მუშაკთა ინტელექტუალური შესაძლებლობანი ყოველწლიურად იზრდება და იგი პიკს აღწევს 55-60 წლის ასაკში. „რაც შეეხება უნარს სწორად შეაფასოს რთული სიტუაცია, — მიაჩნია სპეციალისტს, — იგი უფრო სრულად იჩენს თავს თვით გაცილებით მეტ ასაკშიც“. კარლსონი დაასკვნის, რომ კომპეტენტურობის მაღალი დონე გარანტირებულია, თუ კომპანიები აქტიურად გამოიყენებენ ვეტერანთა გამოცდილებას.

ამ პრობლემით არიან დაკავებული შვეციელი კანონმდებლებიც. პარლამენტში შემავალმა ექვსივე პოლიტიკურმა პარტიამ განსახილველად შეიტანა წინადადება ამის შესახებ.

დეპუტატთა წინადადებაა გაითვალისწინონ ასეთი პოლიტიკის ღონისძიებები შრომის ბაზარზე და საგადასახადო შეღავათებში, რომლებიც წაახალისებდნენ პენსიონერებს შემდგომი შრომითი წვლილისათვის. რჩევა მიეცა მთავრობას უფრო ფართოდ მიიზიდოს ისინი მართვის სფეროში ექსპერტთა ფუნქციების შესასრულებლად.

(საკდესი).

ᲡᲘᲛᲬᲧᲕᲐᲔ—ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ვართ და არსებობა გვინდა. თვეში ერთხელ თითო-ოროლა დასახელების იმპორტულ საქონელს თუ გამოიმეტებენ ჩვენი რაიონისათვის, მაგრამ რად გინდა—არ იფიქროთ, შეგხვდეთ. ბევრს მუშაობის სპეციფიკის გამო არ გვაქვს საშუალება სამუშაო საათებში გავიდეთ მაღაზიებში, რიგში ჩავდგეთ, რიგი არ ვიცით ცაგერლებმა თუ რა—ზოგიერთებმა გვაპატიონ, მაგრამ გვყვანან ისეთი მომხმარებლებიც—არც ქალობას დაგიდევენ, არც სინდისს, არც ნამუსს და თავსა და მხრებზე გადაგვლიან, გადაგთელავენ, დეფიციტური საქონლისათვის კი არა, უბრალო ქართული პურის, ლავაშის რიგშიც.

ᲰᲝᲓᲐ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ საქონელი, რომელიც იშვიათი სიურპრიზია ჩვენთვის, სამუშაო საათების შემდეგ გაიყიდოს?

ჩვენც ადამიანები ვართ. თუ საქონელი შეგვხვდა, ხომ კარგი, თუ არადა რა უშავს, ერთმანეთს უფრო კარგად დავინახავთ და შევიცნობთ.

* * *

ისე გაჭირდა ცხოვრება, რომ ხორცი და სხვა პროდუქტები დეფიციტია. ამაში არც ჩვენი საზკვების ხელმძღვანელობას ვდებთ ბრალს და არც მათი ობიექტების მესვეურთ.

არადა რა ვქნათ? ერთ დღეს, შესვენებაზე, ერთი დიდი ხონჩა ღვეზელი (პერაშკი) შევიძინეთ ქალაქის კაფე-ბარში, კარგად დაბრაწული იყო, მარტო შეხედვით დაკმაყოფილდებოდი კაცი. მადიანად შევექეცით, გავსინჯეთ ერთი, მეორე, მესამე, მაგრამ... ვერც ერთმა ვერ დავადგინეთ რისგან იყო დამზადებული. სხვათაშორის, ჩვენს შორის ორი კვებისტექნოლოგიც იყო, მაგრამ ვერც მაგათი ცოდნა (რა ტყუილად უსწავლიათ 5 წელი) დაგვეხმარა რამეში.

ხორციანია, ხალხო?

არა!

კარტოფილითაა?—არა!

შავი პილპილისგანაა?

ნამდვილად! წამოვიძახეთ ერთხმად და უხალისოდ გავაგრძელეთ ჭამა.

ყოჩაღ, მის ავტორებს იმპროვიზაციისათვის ამ უხორცობის პერიოდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა და დღევანდელობა

შრომაში ყალიბდება პიროვნება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვითარდება როგორც უწყვეტი განათლების ერთ-ერთი ძირითადი რგოლი. იგი სხვა ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად მოწოდებულია უზრუნველყოს მოსწავლეთა პოლიტიკური, ზოგად-შრომითი მომზადება, გააცნოს მათ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგები, ხელი შეუწყოს მწარმოებლურ შრომაში მოზარდი თაობის აქტიურ ჩაბმას, დაეხმაროს ახალგაზრდობას—შეგნებულად, ინტერესების, შესაძლებლობისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით აირჩიოს პროფესია, შრომითი საქმიანობის სფერო, განათლების მიღების გზები.

შრომისადმი სიყვარულს, პატივისცემას საფუძველი ოჯახში, სკოლამდელ დაწესებულებაში ეყრება და ძირითადად სკოლაში ყალიბდება. მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის ქვაკუთხედად მივიჩნიეთ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომისათვის მომზადების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ".

რაიონის სკოლებიდან ჩხუტელის, ბარდნალის, ლასურიაშის, ტვიშის, ოყურეშის და ზუბის საშუალო, ჩქუმის და მახაშის არასრულ საშუალო სკოლებში შრომითი სწავლებისა და აღზრდის კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. შედარებით კარგად აქვთ მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები ლითონისა და მერქნის დამუშავებისათვის, სასწავლო კაბინეტები მომსახურებითი შრომის სწავლებისათვის, I-IV კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლების ცალკე ოთახები. მოსწავლეები დაუფლებული არიან ხეზე და ლითონზე მუშაობას, კერვას, ქსოვასა და ქარგვას, სიმინდის, ხეხილის, ყურძნისა და ბოსტნეულის მოვლა-პატრონობას. ზედა კლასებში მოსწავლეები ეუფლებიან ავტომობილისა და ტრაქტორების მართვას.

სკოლების სასწავლო საცდელი ნაკვეთები მოსწავლეებში შრომისადმი სიყვარულის გამომუშავების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ამ ნაკვეთებში გაშენებულ მსხმოიარე ვენახისა და ხეხილის ბაღებში, სასიმინდე ნაკვეთებსა და ბოსტნებში ყველა სამუშაოს ხარისხიანად და აგროტექნიკურ წესების დაცვით ასრულებენ მოსწავლეები. ისინი ეუფლებიან ბაღის და ვენახის გასხვლის, ნიადაგის დამუშავების, მწვანე ოპერაციების, სასუქების გამოყენების, შხამ-ქიმიკატებით შეწამვლის აგროტექნიკურ წესებს, ყურძნისა და ხილის, სიმინდისა და ბოსტნეულის მაღალი მოსავლის მოყვანის მეთოდებს.

ამასთან შრომითი სწავლება და პროფესიული მომზადება სკოლებში კვლავ რჩება სახალხო განათლების დარგის ერთ-ერთ სუსტ რგოლად. ბევრ სკოლაში სერიოზული ნაკლოვანებებია სასკოლო შრომით სწავლებაში, აღზრდასა და პროფესიულ მომზადებაში. საქმისადმი ფორმალური მიდგომა ფიქციად აქცევს ზემდგომი ორგანოების მიერ შრომით სწავლებასა და აღზრდაში მიღებულ დადგენილებებს, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მოთხოვნებს, რასაც განაპირობებს შრომითი სწავლების სუსტი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, ცუდად აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები, მომსახურებითი და ტექნიკური შრომის ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის თეორიული სწავლების კაბინეტები, სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთები.

შრომით სწავლებაში შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს სათანადო კვალიფიციური კადრის უყოლობა.

სერიოზული ნაკლოვანებებია სპეციალური და სასწავლო ლიტერატურით სკოლების უზრუნველყოფის საქმეში. წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა არამც თუ ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა ტექნიკურ და მომსახურებით შრომაში, არამედ გადმოქართულება მაინც, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ლიტერატურა უკვე დიდი ხანია არსებობს რუსულ ენაზე. შექმნილი მდგომარეობა აიძულებს შრომის მასწავლებლებს ისარგებლონ მეცნიერული და მეთოდური თვალსაზრისით საეჭვო, ერთმანეთისაგან გადაწერილი კონსპექტებით.

საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტში აღნიშნულია, რომ შრომის ჩვევების გამომუშავება აუცილებელია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ყმაწვილის მოსამზადებლად. თუმცა სწავლა გარკვეულწილად შრომაცაა, საკუთრივ შრომითი სწავლების პროცესმა უნდა შეუწყოს ხელი მოზარდის ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადებას. გოგონებმა უნდა ისწავლონ საოჯახო მეურნეობა, კულინარია, კერვა, ქსოვა, ბავშვის მოვლა, ვაჟებმა—მეურნეობა, საოჯახო ნივთების შეკეთება და სხვა. არ უნდა შეიზღუდოს მოსწავლის ინდივიდუალური მისწრაფებები. თუკი ყმაწვილი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა, ეს უნდა ჩაითვალოს შრომით აღზრდად. ამგვარი ინდივიდუალური ორიენტაცია მას მესამე საფეხურზე სწორ არჩევანს გაუადვილებს.

სკოლებში პედაგოგების მიერ შინაარსიანად დაგეგმილ მუშაობაზეა დამოკიდებული, თუ რას გააკეთებს მოსწავლე საკუთარი თავისა და საზოგადოების სასარგებლოდ. აღმზრდელობითი მუშაობის დროს საჭიროა მოზარდთა დაინტერესება ისეთი შრომითი საქმიანობით, რომელიც მათ სტიმულს მისცემს ძიებაში, კვლევასა და შემოქმედებითი საქმიანობის წყურვილის გაღვიძებაში.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექციები და შრომითი სწავლების მასწავლებლები, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ აღზარდოთ შეგნებული, აქტიური, განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდები.

ნ. კოპალიანი,

განათლების განყოფილების შრომითი სწავლების და პროფორიენტაციის ინსპექტორი.

ჩვენს საჭირისუფლოში

ცხეთის ეკლესია



მდინარე ლაჯანურის ხეობაში, ორბელი-ლაჯანის ტაფობის თითქმის მეტი წილი ადგილებიდან ნათლად ჩანს ლეჩხუმის ერთადერთი გუმბათიანი ცხეთის ეკლესია, რომელიც დგას მდინარე ლაჯანურის ხეობის მარჯვენა კალთაზე, მთის კონცხზე, ასწლოვანი ცაცხვების კორომში.

დღევანდელი ეკლესია, სიტყვიერი გადმოცემის თანახმად, სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის (მთავრობდა 1728-1758 წლებში) მეუღლეს, რაჭის ერისთავის შოშიტას ასულს გულქანს აუგია. ეკლესიის აშენება საგულისხმოა 1728-1761 წლებში.

ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს საეკლესიო ცენტრის, დიდი მცხეთის სახელი ლეჩხუმის გარდა მეორდება ოლთისის რაიონშიც... ამას გარდა, ჩვენთვის ცნობილია სოფელ ერედვში ორი ეკლესია — დაბლა მცხეთის ჯვარი და მაღლა მცხეთის ჯვარი.

დღევანდელი ეკლესიის ადგილას ადრიდანვე ყოფილა რაღაც სამლოცველო. ამას ადასტურებს წმინდა გიორგის ხატი მე-15-16 საუკუნეებისა, რომელიც აქ უნახავს ექვთიმე თაყაიშვილს ცხრასიან წლებში. მას ხუცური წარწერა ჰქონია „მთავარმოწამე მცხეთისა". მეორე აქაური ვერცხლის ხატი მთავარმოწამისა, მე-18 საუკუნისაა, შემდეგ ზემო სვანეთის სოფელ მუყმერში მოხვედრილა, რომელსაც წარწერა ჰქონია: „წმინდაო გიორგი მცხეთისაო, შეიწყალე ხევი მცხეთისა შენსა წინაშე შემავალი".

ცხეთის წმინდა გიორგის ეკლესია თეთრი ფერის თლილი ქვით არის აშენებული. იგი წარმოადგენს ჯვარულ-გუმბათოვან ნაგებობას. რვაწახნაგოვანი, მცირე ზომის გუმბათი საკურთხევლის კედლებსა და ორ ბოძს ეყრდნობა. თითოეულ წახნაგში სარკმელია გაჭრილი. თითო სარკმელია საკურთხეველში, გვერდით სათავსოებში — სადიაკონე. მიუხედავად სარკმელების რაოდენობისა, ეკლესიის ინტერიერი სუსტად არის განათებული. ნაგებობას ორი შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. საკურთხეველი ძირითადი სივრცისაგან ხის კანკელით არის გამიჯნული, რომელზედაც წმინდანებია დახატული.

ეკლესიის ფასადებიდან ძირითადად დეკორირებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის. მათი გაფორმება იდენტურია—ორნამენტური საპირით შემკული სარკმელის თავზე რელიეფური ჯვარია, ხოლო ფრონტონის კეხში ვერძის თავია ჩასმული.

გასულ საუკუნეში ეკლესია შეუთეთრებიათ, შიგნიდან შეუღესავთ და სამხრეთის კარი ჯვრისებური მოხაზულობის ჩარჩოთი გაუფორმებიათ.

ცხეთის წმინდა გიორგის ეკლესია ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია მე-18 საუკუნის მანძილზე საქართველოში მიმდინარე საკულტო მშენებლობისა.

ცხეთის ეკლესიის აღმოსავლეთი სარკმლის მარჯვენა კუთხეში გამოკვეთილია ხელი, მას მხედრული წარწერა ახლავს — „ხელი ნასყიდას, კალატოზის ქართლელის", რაც გვაუწყებს ეკლესიის მშენებელი არქიტექტორის სახელს.

წერილი „ლეჩხუმს"

მოწინავე პოზიციებზე

მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია ფორმას, გარეგნულ სამოსს, სახელწოდებას. სრულიად ახლებური სიამოვნება მოგვგვარა ჩვენი გაზეთის ბოლო ნომრებმა. შრიალა ფურცელი — „ლეჩხუმი", ჩვენი რაიონის საჭირბოროტო საკითხების მაცნედ მოგვევლინა. მთელი მიზნები და ამოცანები შემოგვთავაზა მკითხველთ. უფრო ბევრისმთქმელ და მომავლის პერსპექტივების შქონედ დაგვესახა იგი.

გულახდილად რომ ვთქვა, განაწყენებული მკითხველი —რატომ არ შეეცვალა გაზეთს სახელწოდებაო, ალმაცერად გადახედავდა „კომუნიზმის სხივს" და უგუნებოდ იწყებდა კითხვას.

ახლა მთავარია, მართლაც საქმიანი, მიმზიდველი და შინაარსიანი, მებრძოლი და შეუპოვარი გახდეს ჩვენი „ლეჩხუმი", რაც დიდადაა დამოკიდებული მასზე, თუ როგორ დაირაზმება აქტივი გაზეთის ირგვლივ. დღეს პირდაპირობა საჭიროა ისე, როგორც არასდროს, საქმე ისე არ გამოსწორდება. სამწუხაროდ, ზოგჯერ კი ისეთი ქაოსური გარემო იქმნება, სიტუაციებიც ისე იძაბება, აღარაფრის თავი აღარა გაქვს ადამიანს და გუნებაგაფუჭებული შეჰყურებ—რა იქნება ხვალ? ეს იმით არ არის გამოწვეული, კეთილი საქმისათვის რომ ვიღწვით, თუნდაც შეწირვას მოითხოვდეს იგი, ამ გზაზე პასიურობა ღალატი და უხერხულობაა. მაგრამ სხვა უფრო დიდი საწუხარი გვაქვს—დრო მიდის, ღონისძიებანი ტარდება, მაგრამ არა ეშველა რა ძმათა შუღლს ამ ერთ მუჭა ქართველობაში.

ყველა გაზეთი, ინფორმაციის საშუალებანი, საზოგადოება მეგობრობას, გაერთიანებას უნდა ემსახურებოდეს. ჩვენი „ლეჩხუმიც" ამ პოზიციაზე უნდა დადგეს.

ნ. ფრუიძე,

ჩვენი კორესპონდენტი, სოფელ ალპანა.

მსოფლიო ახალი პოლიტიკური აზროვნებისაკენ

მალტის შეხვედრა

სსრ კავშირისა და აშშ-ის ხელმძღვანელთა შეხვედრები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, რამეთუ ამ ორ ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ბედი. მაგრამ მალტის უმაღლეს დონეზე შეხვედრამ, მისმა შედეგებმა გამოიწვია მსოფლიო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ინტერესი. ჯერ ერთი, ეს იყო პირველი შეხვედრა მ. ს. გორბაჩოვისა ჯ. ბუშთან, რაც ეს უკანასკნელი აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე ავიდა. ახალი ადმინისტრაცია დიდი ხნით ლოდინის პოზიციას იკავებდა, და გაუგებარი იყო, რა სახით გააგრძელებდა რ. რეიგანის პოლიტიკას, გაურკვეველი იყო აგრეთვე დამოკიდებულება ჩვენს გარდაქმნასთან. ვაშინგტონში, ჩანს, მას განიხილავდნენ როგორც საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეს, მხედველობის არედან უშვებდნენ რა მის გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე. და მხოლოდ გასული წლის ოქტომბრის ბოლოს ადმინისტრაციამ გარკვევით განაცხადა აშშ-ის დაინტერესება საბჭოთა გარდაქმნის წარმატებაში.

მეორეს მხრივ, შეხვედრა დამთხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მძვინვარე ცვლილებებს. ამიტომაც მოლაპარაკების ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო ევროპის კონტინენტზე სტაბილურობის შენარჩუნების საკითხი.

შეხვედრის უმნიშვნელოვანესი შედეგია ამერიკის მხრიდან გამოთქმული განზრახვა დამთავრდეს „ეკონომიკური ომი“, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა ვაშინგტონი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. საქმე ეხება „დისკრიმინაციულ“ სავაჭრო ბარიერის მოხსნას.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს აზრი შეიარაღების შემცირების მოლაპარაკების დაჩქარებაზე, რომ 1990 წელს მზად იყოს ხელმოსაწერად საბჭოთა-ამერიკული ხელშეკრულება თაკდასხმითი სტრატეგიული შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების თაობაზე. აგრეთვე მრავალმხრივი შეთანხმება ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვმა მხარი დაუჭირა ჯ. ბუშის იდეას, რომ აშშ გააჩერებს ყველაზე მეტად საშიში ქიმიური იარაღის სარეზერვო ბების წარმოებას იმ პირობით, თუ სსრ კავშირი აშშ-თან ერთად აიღებს თავისთავზე პასუხისმგებლობას 10 წლის განმავლობაში ქიმიური იარაღის 98 პროცენტის განადგურების თაობაზე.

არსებითი განსხვავება რჩება რეგიონალური კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე მიდგომაში—ავღანეთში, ცენტრალურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და სხვა ადგილებში.

მალტის შეხვედრამ აღნიშნა საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისი. 1990 წელს შედგება ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა ქვეყნის მთავრობისა ვაშინგტონში, რომლის დროსაც გათვალისწინებულია ხელმოწერილ იქნას მნიშვნელოვანი შეთანხმებები.

საერთო ევროპული სახლისკენ

საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულმა იდეამ საერთო ევროპული სახლისა მიიღო აღიარება და ივსება კონკრეტული შინაარსით, უფრო მეტიც, მისი მშენებლობა უკვე დაიწყო. ხელმოწერილია პრინციპული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები. ისეთი, როგორიცაა ერთობლივი საბჭოთა დასავლეთგერმანული განცხადება, საბჭოეთ—ფინეთისა, საბჭოეთ-იტალიის პოლიტიკური დეკლარაცია. ეს დოკუმენტები შეიცავს ცდას ფილოსოფიურად იქნას გააზრებული მსოფლიო საზოგადოებრიობის დედაარსი, გადაწყდეს საერთო პოლიტიკური ამოცანები.

საერთო ევროპული სახლის კონცეფციის საფუძველში დევს აზრი კონტინენტის ხალხების საერთო მომავალზე. ამასთან, ცხადია, არ შეიძლება საქმე გვქონდეს რომელიმე ევროპულ „გენცალკავებაზე“ და მით უმეტეს „უპირატესობაზე“.

როგორია მაინც საერთო ევროპული სახლის ძირითადი მახასიათებლები? პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა დგას უსაფრთხოების საკითხი. უნდა იქნას გამორიცხული თეთ შეიარაღებული შეტაკების შესაძლებლობა.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ და წერენ ევროპაში ორი სამხედრო პოლიტიკური ბლოკის—ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციების მომავალზე. პრინციპში სსრ კავშირი მხარს უჭერს მათ გაუქმებას.

საერთო ევროპული სახლის კონცეფციის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ეკონომიკური თანამშრომლობა. ეკონომიკური თანამშრომლობის მექანიზმების შექმნაში პირველი ნაბიჯები უკვე იდგმება.

ევროპის ორივე მხარის დაახლოება შეიძლება მოხდეს მხოლოდ წყნარ მშვიდობიან გარემოებაში, ყველა მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით. „ცვლილებები სტაბილურობის პირობებში“—ასეთია საერთო ევროპული პროცესების ფორმულა. აუცილებელია იმ რეალობის პატივისცემა, რომელიც ჩამოყალიბდა ომისშემდგომ პერიოდში, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე ევროპის უსაფრთხოება.

ა. ტოლკუბინი.

ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ“

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ბილოცავთ

ასკილდაკორწინებულებს!

გუდო მუშკუდიანს
ვახტანგ კირთაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას, ულევ სიხარულს, სიყვარულს.

რაისაავადმყოფოს ინფექციური განყოფილების თანამშრომლები.

ნინო ხეცურიანს
გია ღიპარტელიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ხანგრძივ სიცოცხლეს, ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას.

ცაგერის საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულები.

მზია მურმანის ასულ ნემსწვერიძეს
დათო ამირანის ძე ჩახულიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული, სიყვარული არ მოგკლებოდეთ, გემრავლებინოთ ერი!

ნანა ცვარიანი, ნორა ჩხეტიანი.

მზია მურმანის ასულ ნემსწვერიძეს
დათო ამირანის ძე ჩახულიანს

გილოცავთ ბედნიერებას, დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე და სიტკბოება.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ფატი ზაურის ასულ ყურაშვილს
ვალერი ნესტორის ძე ბენიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ შვილთა სიმრავლეს. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ზუბის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ბილოცავთ

მარიკა კანდიტის ასულ ფრუიძეს
ბონდო ჟორას ძე ჩიხლაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე.

ბარდნალის საშუალო სკოლის კოლექტივი.

მარიკა კანდიტის ასულ ფრუიძეს
ბონდო ჟორას ძე ჩიხლაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ტაგუ ფუტკარაძე ოჯახით.

მარინე ჰიპიკოს ასულ გურულს
ნოდარ არქიბოს ძე სილაგაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. შემატებოდეს მრავალი და-ძმა ერის საკეთილდღეოდ.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ქალაქის წყალსადენის ქსელის ტექნიკური უწესრიგობის გამო ბაქტერიული ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია ქსელის ექსპლუატაციის ვადის გასვლის შედეგად, ვთხოვთ დავით აღმაშენებლის, თამარის და ლენინის ქუჩებზე (კეკნარის ღელიდან ახალი დასახლების ჩათვლით) მცხოვრებლებს სასმელი წყალი მიიღონ თერმული დამუშავების შემდგომ. რაც შეეხება მოსახლეობაში გავრცელებულ აზრს, ქალაქის წყალსადენის წყლის მოწამვლის და ცხოველებით დანაგვიანების შესახებ, სინამდვილეს არ შეეფერება.

ცაგერის რაი-სანეპიდსადგური.

და თამარი, ძმები გრიშა, ვაჟა, რძლები მარო ჩიხლაძე, ეთერ ალექსიძე, ძმისშვილები სულიკო, გულიკო, თინა, ქეთინო, ნინა, ნონა, დისშვილები ციცინო, გივი, ავთანდილ, პაატა კვირკაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო (ნუცა) ილარიონის ასული ხვადაგიანი-თოთაძე

დაკრძალვა 24 მარტს, შაბათს, ქ. ცაგერში.

ბიძაშვილები კოლია, რუბენ, თენგიზ, თამარა, ცუცია ხვადაგიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუცა ილარიონის ასული ხვადაგიანი-თოთაძე.

ჟორა ასათიანი, რადიშა, ვანო გოდოლაძეები, მიშა ფალავანდიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ ამბროსის ძე ასათიანი.

დათო საღინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნოდარ ამბროსის ძე ასათიანი.

ორბელის საექიმო უბნის, საფერშლო პუნქტის და აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ. დალი ჩხეტიანს დედის

ნინა ჩხეტიანის

გარდაცვალების გამო.

შალვა, გრიშა, მიხა, რამაზ შუბულიანები, ოთარ ლეთოდიანი, გელა ბენდელიანი, ოტელო მდივანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სულიკო ხვადაგიანს მამიდის

ნუცა ხვადაგიანის

გარდაცვალების გამო

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3-, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, კორექტორის—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66589, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.